# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№67 2014 წლის 16 იანვარი ქ. თბილისი

**2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე**

შემსყიდველი ორგანიზაციების 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმების პარამეტრების და 2013 წელს ჩატარებული ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერებისა და მათი შედეგების ანალიზის გათვალისწინებით:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის შესაბამისად, 2014 წლის 31 იანვრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად ჩატარდეს კონსოლიდირებული ტენდერი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2. 2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ უზრუნველყოს 2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

3. 2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისა და მისი შემ-

დგომი ადმინისტრირების მიზნით შეიქმნას 2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია და დამტკიცდეს მისი თანდართული შემადგენლობა და საქმიანობის წესი.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2014 წლის 16 იანვრის
№ 67 განკარგულებით

## 2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. 2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია (შემდგომში - სატენდერო კომისია) შექმნილია 2014-2015 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისა და მისი შემდგომი ადმინისტრირების მიზნით.

2. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

**ირაკლი ქარსელაძე** - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

**ლევან რაზმაძე** - სსიპ - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

**დიმიტრი ქუმსიშვილი** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

**გიორგი ჯავახიშვილი** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

**დავით ხუციშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

**ალექსი ბატიაშვილი** - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

3. სატენდერო კომისიას ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის დავალებით სატენდერო კომისიის ერთ-ერთი წევრი.

4. სატენდერო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სატენდერო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სატენდერო კომისიის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ.

5. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას.

7. სატენდერო კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

8. სატენდერო კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.